

30. საქართველოს პარლამენტის მიმართვა აფხაზი ხალხისადმი, აფხაზეთის მოსახლეობისადმი, 1997 წლის 30 მაისი.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა აფხაზი ხალხისადმი, აფხაზეთის მოსახლეობისადმი ქართველებსა და აფხაზებს, აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს დღემდე ვერ მოგვიშუშებია ის უმძიმესი იარები, რომლებიც დაგვიტოვა აფხაზეთში გაჩაღებულმა სისხლიანმა კონფლიქტმა.

კიდევ არაერთი თაობა იმსჯელებს, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი კონფლიქტის გაჩაღებაზე, მაგრამ მთავარია ერთი - ჩვენ, ყველა, ქართველები და აფხაზები, ვაგებთ პასუხს იმაზე, რაც დღეის შემდეგ მოხდება.

საქართველოს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი მთელი სისრულით კისრულობს პასუხისმგებლობას ჩვენი სამშობლოს განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის მოსახლეობის სამომავლო ბედზე, აფხაზი ერის მშვიდობიანი და თავისუფალი განვითარების მყარი გარანტიების შექმნაზე.

საქართველოს პარლამენტი გამოხატავს მზადყოფნას, დაიწყოს დიალოგი აფხაზური მხარისათვის მისაღები ნებისმიერი ფორმით ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვართ, რომ კონფლიქტის პოლიტიკური გზებით მშვიდობიან მოწესრიგებას ალტერნატივა არ გააჩნია.

დღეს, როდესაც შეიძლება დაისვას კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ორივე მხრიდან ძალების სრული მობილიზება, რათა არ დავუშვათ ძალადობისა და საბრძოლო მოქმედებების განახლება და უზრუნველყოთ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის განუხრელი დაცვა.

ახლა მთავარია, სისხლისა და ომისაგან, ნგრევისა და განადგურებისაგან დადლილები ავმაღლდეთ ჩვენს ტკივილებზე, გამოვრიცხოთ ყოველგვარი რევანში და ანგარიშსწორება, ერთად გავაცნობიეროთ, რომ შერიგების გზა ერთადერთი გზაა, რომელიც მშვიდობიან თანაცხოვრებამდე მიგვიყვანას.

საქართველოს პარლამენტი
თბილისი, 1997 წლის 30 მაისი
(საქართველოს პარლამენტის არქივი)